საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 695

07 08 2019წ.

ქ. თბილისი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის თარჯიმნებისა და რედაქტორების შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის 2019 წლის 29 ივლისის №997327 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2019 წლის 09 აგვისტოდან 2019 წლის 18 აგვისტოს ჩათვლით გამოცხადდეს კონკურსი ცენტრის სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის თარჯიმნებისა და რედაქტორების შერჩევის მიზნით.

2. ცენტრის თარჯიმნებისა და რედაქტორებისათვის დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. მინიმალური განათლება - უმაღლესი განათლება;

2.2. სამუშაო გამოცდილება - ინგლისურენოვან დოკუმენტაციასთან მუშაობის გამოცდილება, ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე და ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე თარგმნის გამოცდილება;

2.3. კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Microsoft Office) კარგად ცოდნა;

2.4. ქართული და ინგლისური ენების ძალიან კარგად ცოდნა (C1 დონე);

2.5. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიურ კონტექსტში გამოყენებული ტერმინებისა და მათი დეფინიციების ცოდნა;

ბ) სამუშაო დოკუმენტების შინაარსში სწრაფად გარკვევის უნარი;

გ) ლოგიკური აზროვნების უნარი;

დ) ინფორმაციის სწრაფად მოძიების უნარი;

ე) დეტალებზე ორიენტირებულობის უნარი;

3. შესასრულებელი სამუშაო:

3.1. თარჯიმნების შესასრულებელ სამუშაოს წარმოადგენს - საავტორიზაციო, სააკრედიტაციო და ცენტრის სხვა მასალების ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე, ასევე, ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნა, ცენტრში არსებული სერვერული და კომპიუტერული თარგმნის პროგრამის SDL trados 2017-ის საშუალებით.

3.2. რედაქტორების შესასრულებელ სამუშაოს წარმოადგენს - ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე და ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე ნათარგმნი ტექსტების რედაქტირება.

4. კონკურსში მონაწილე პირმა ცენტრის ელექტრონული ფოსტის მისამართზე: hr-jobs@eqe.ge - უნდა წარმოადგინოს:

ა) ავტობიოგრაფია (CV) ქართულ ენაზე, ორი რეკომენდატორის, მათი თანამდებობისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით;

ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) აუცილებელია კონკურსანტმა ელექტრონული ფოსტის სათაურის ველში (Subject) მიუთითოს ვაკანსიის დასახელება (თარჯიმანი ან რედაქტორი).

5. კონკურსი ჩატარდეს 3 ეტაპად:

ა) განაცხადების გადარჩევა;

ბ) წერითი დავალება;

გ) გასაუბრება.

6. კონკურსის შედეგად საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

7. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ვებგვერდის - www.jobs.ge მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

8. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

9. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

გიორგი ვაშაკიძე